თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №8

თბილისი, 29 სექტემბერი, 2021 წ.

სხდომა დაიწყო 15:10 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე გიორგი გამეზარდაშვილი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი მანანა ბეგიაშვილი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი.

დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად წარმოდგენილნი იყვნენ:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დახმარების დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე ვაშალომიძე;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი ციცაგი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი).

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – ხატია წილოსანი.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- OSCE/ODIHR – ანა კაკალაშვილი;
- „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) – თეკლე ზედელაშვილი.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „მწვანე დედამიწა“ – ნუგზარ მელაძე;
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – გიგი ჩიხლაძე;
- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე;
- „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ლაზარე ჯიბლაძე;
- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;

- „მრავალეროვანი საქართველო“ – გიორგი გულიაშვილი;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, სხდომა გახსნა 15:10 საათზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის უფლებამოსილებისათვის საჭირო კვორუმის არსებობის დადასტურების შემდგომ თავმჯდომარის მოადგილემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სხდომის გახსნა.
2. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების თაობაზე.
3. „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის“ უწყებათაშორისი კომისიის წევრების მოსმენა 20-27 სექტემბრის მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ.
4. სხვადასხვა.

სხდომის გახსნის შემდეგ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო უწყებათაშორისი კომისიის მიერ შემუშავებული ორი რეკომენდაციის პროექტი. პირველი რეკომენდაცია მიმართული იყო ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებისადმი და არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისადმი და ემსახურებოდა პოლიტიკური ხასიათის შეკრებების თავისუფალ და არაკონფლიქტურ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფას, მეორე კი – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისადმი და საჯარო სკოლებისა და ბაგა-ბაღების თანამშრომლებისადმი, რომლის მიზანიც იყო სასწავლო პროცესის პოლიტიზების თავიდან აცილება.

კომისიის წევრები დაეთანხმნენ რეკომენდაციების პროექტებს და სხდომაზე დამსწრე სხვა პირების მხრიდანაც შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბატონმა თორნიკემ განაცხადა, რომ, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მიერ უწყებათაშორისი კომისიისთვის მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, გამოიცემოდა ზემოდასახელებული ორი რეკომენდაცია.

შემდგომ ბატონი ალექსანდრე დარახველიძის (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე) მიერ წამოყენებული საკითხიდან გამომდინარე, რომელიც შეეხებოდა „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრების აკრძალვას, სხდომაზე გაიმართა დისკუსია.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, ზემოაღნიშნული ტიპის შეკრების შემზღუდველი საარჩევნო კოდექსის ნორმის აღსრულების კუთხით არსებობს ალბათობა, რომ შეზღუდვა შეეხოს ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ტიპის შეკრებასაც (მაგ.: თავშეყრა საარჩევნო უბნებთან ახლო მანძილზე არსებულ მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერებაზე, მაღაზიის რიგში ყოფნა, პარკში ბავშვის გასეირნება და ა.შ.) და პოლიციას მსგავს შემთხვევებში მოუხდეს პირთა დაჯარიმება. მისი თქმით, კანონის ბლანკეტური ჩანაწერის მიუხედავად, პოლიციამ უნდა იმოქმედოს გონივრულობის ფარგლებში და აკრძალვა არ უნდა გავრცელდეს ისეთი ტიპის შეკრებებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის არჩევნების თავისუფალ, სამართლიან, მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩატარებასთან; გავლენას არ ახდენს ამომრჩევლის თავისუფალ ნებაზე და დაკავშირებულია მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო საჭიროების მიზნით თავმოყრას (ამომრჩევლის მიერ კენჭისყრაში მონაწილეობის პროცედურა; საარჩევნო კოდექსით უფლებამოსილი პირის მიერ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება; დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება; მაღაზიის, კაფე-ბარის, რესტორნის ან სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის მიმდებარედ ყოფნა; ბანკის, საფინანსო ორგანიზაციის ან სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის ფუნქციონირებისა და სარგებლობის მიზნით ყოფნა; პარკში, სკვერში ან სტადიონზე რეკრეაციის მიზნით ყოფნა; სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც იწვევს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრებას.)

ბატონი თორნიკე დაეთანხმა მომხსენებლის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ არჩევნების დღეს შესაძლოა, მართლაც მწვავედ დადგეს ზემოაღნიშნულ შეზღუდვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების საკითხი. მისი თქმით, უმჯობესი იქნებოდა, საარჩევნო კოდექსი გარკვეულ დამაკონკრეტებელ დათქმას აკეთებდეს შეკრების ხასიათთან მიმართებით ამ მხრივ და მომავალში, ალბათ, საჭირო გახდება საარჩევნო კანონმდებლობაში შესაბამისი დაზუსტების ასახვა.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ბატონ გიორგი სანტურიანსაც (ცესკო) სთხოვა ამავე საკითხზე მოსაზრების გამოთქმა.

ბატონი გიორგი სანტურიანი დაეთანხმა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ ზემოხსენებულ შემთხვევაში ცხადად ჩანს ადმინისტრირების მთელი სირთულე და კანონის მკაცრი ინტერპრეტირებით შესაძლოა, ნებისმიერი უწყინარი საყოფაცხოვრებო ურთიერთობაც კი საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული აკრძალვის ფარგლებში მოექცეს. ამიტომ ამ მხრივ სიცხადის შემოტანა გაცილებით მეტ კონკრეტიკას უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესში ჩართული

მხარეებისთვის, ამასთან, გააადვილებს საკანონმდებლო ნორმის პრაქტიკაში დანერგვას შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც:

ქალბატონმა ლელა ხათრიძემ („სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" (ISFED)) განაცხადა, რომ საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული აკრძალვა ცხადია, გულისხმობს არჩევნებთან დაკავშირებულ თავყრილობას და აშკარაა, რომ, მაგალითად, საარჩევნო უბნის მიმდებარე მაღაზიაში ან ბანკში პირთა შესვლა არ უნდა იყოს დარღვევად ინტერპრეტირებული. მისი თქმით, მათი ორგანიზაციაც მსგავსი პრინციპით მოახდენს შემთხვევათა კლასიფიკაციას.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირის" თავმჯდომარე) აღნიშნა, რომ სასურველია, ცესკო-მ იმუშაოს კლიპებზე ან გარკვეულ ვიდეორგოლებზე, რომლებიც საარჩევნო უბნებთან შეკრების აკრძალვის საკითხს მეტ-ნაკლებად მაინც განმარტავს.

ბატონი ლაზარე ჯიბლაძის („ადამიანის უფლებათა ცენტრი") თქმით, მათი ორგანიზაციის გამოცდილებიდან გამომდინარე, ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა ადრე საარჩევნო უბნებთან შეკრების თაობაზე ჩანაწერის არარსებობა და არ ხდებოდა მსგავსი დარღვევების აღკვეთა. მან დადებითად შეაფასა საკანონმდებლო ნორმის მეშვეობით ამომრჩეველთა აღრიცხვის აკრძალვაც.

ბატონი დანიელ დავითაშვილის პასუხად, ცესკო-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, ზემოაღნიშნული ნორმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. რაც შეეხება სატელევიზიო რგოლებს, ამ თვალსაზრისით ცესკო საკმაოდ დიდ რესურსს იყენებს, რათა ამომრჩეველსა და ჩართულ მხარეებს გარკვეული ინფორმაცია მიეწოდოს, თუმცა, გაჭირდება იმის თქმა, რომ არჩევნებამდე დარჩენილ სამ დღეში მოესწროს შესაბამისი ვიდეორგოლის მომზადება.

საკითხის ირგვლივ საუბრის დასასრულ, ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოაწყობს საინფორმაციო ბრიფინგებს და მიაწვდის ინფორმაციას ამომრჩევლებს, რათა თავი შეიკავონ საარჩევნო კანონმდებლობის ნორმის დარღვევისგან. მისი თქმით, მიუხედავად სირთულისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავს, რათა არჩევნები მშვიდ, უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარდეს.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ წინა სხდომებზე გახმიანებულ საკითხებსა და უწყებათაშორის კომისიაში პოლიტიკური პარტიის „საქართველოსთვის" მიერ

წარმოდგენილ განცხადებაზე დამატებითი მოკვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციის მოწოდების მიზნით სიტყვა გადასცა კვლავ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს.

ბატონი ალექსანდრე დარახველიძის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის ორ სხვადასხვა საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემდებარე საკითხებთან დაკავშირებით; ნაწილ საქმეებს, სადაც პოლიციელთა მხრიდან გარკვეულ ქმედებებზე იყო საუბარი, გენერალური პროკურატურა იძიებს.

ზემოხსენებული ორი საქმიდან პირველი შეეხება მოქალაქის იძულებას, დაწეროს განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ (სსკ 169-ე მუხლი). აქტიურად მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოიკვეთა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემდებარე 44 ფაქტი; 40 პირი დაბარებულია მოწმის სახით გამოკითხვაზე; 6 პირი უკვე გამოკითხულია, რომლებიც აცხადებენ, რომ სამსახურიდან მათი გათავისუფლება უკავშირდება მათ სიმპათიებს პარტიის „საქართველოსთვის" მიმართ. შესაბამისად, ამ საკითხზე გრძელდება გამოძიება. აღსანიშნავია, რომ 44 პირიდან 8 პირმა თანხმობა განაცხადა გამოკითხვაზე; ორი პირი გამოცხადდებოდა 29 სექტემბერს, ერთი – 30 სექტემბერს, ორი – 4 ოქტომბერს, სამი – 5 ოქტომბერს; 39-მა პირმა განაცხადა, რომ დამატებით შეატყობინებდა გამომძიებელს მათთვის მისაღებ დროს გამოკითხვაზე გამოცხადებისთვის. ხაზგასასმელია, რომ მხოლოდ ერთმა პირმა თქვა უარი გამოკითხვაზე გამოცხადების მხრივ საგამოძიებო ორგანოსადმი უნდობლობის გამო.

მეორე საქმეზე (შეეხება იძულებას – სსკ 150-ე მუხლი) გამოიკვეთა 37 ფაქტი, რომლებზეც აქტიურად მიმდინარეობს გამოძიება. ამ შემთხვევაში გაერთიანდა ის ფაქტები, რომლებზეც უკვე ჩატარდა გამოკითხვა. საქართველოს მასშტაბით გამოიკითხა 20 პირი: 7 – სამცხე-ჯავახეთიდან, 4 – მცხეთა-მთიანეთიდან, 5 – კახეთიდან, 2 – აჭარიდან და თითო-თითო – გურიიდან და ქვემო ქართლიდან. მათგან თვრამეტმა უარყო რაიმე ზეწოლის, მუქარის ან იძულების ფაქტი; ორმა პირმა კი, აღნიშნა, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა იძულების ფაქტს, თუმცა, რაიმე ტიპის მტკიცებულების წარმოდგენისგან ან კონკრეტული პირის დასახელებისგან თავი შეიკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქალბატონ ნათია მეზვრიშვილსაც სთხოვა საგამოძიებო ორგანოში გამოცხადება. მან ყაზბეგში პოლიციას მიაწოდა გარკვეული ინფორმაცია, თუმცა, აღნიშნა, რომ მის მიერ ბრიფინგზე გახმიანებული ზეწოლის ფაქტები გაიგო სხვა პირთაგან, რომელთაც სხვა დამატებითი ინფორმაცია არ მიუწოდებიათ.

გამოკითხვაზე დამატებით გამოძახებული 10 პირიდან სამმა აღნიშნა, რომ გამოცხადდებოდა 30 სექტემბერს, ხუთმა – 5 ოქტომბერს, შვიდმა პირმა სატელეფონო გასაუბრებისას განმარტა, რომ ამ ეტაპზე საარჩევნო პროცესში ჩართულობის გამო ვერ

ახერხებდა გამოცხადებას და პირველივე შესაძლებლობისთანავე გამოცხადდებოდა საგამოძიებო ორგანოში.

ბატონი ალექსანდრეს თქმით, პარტიის „საქართველოსთვის“ განცხადებაში აღნიშნული დანარჩენი 22 ფაქტი, სადაც პოლიციის მხრიდან შესაძლო დარღვევები იკვეთება, პროკურატურის ქვემდებარეა, 5 ფაქტი კი, შედარებით გაურკვეველი შინაარსისაა (მაგალითად, ზემოხსენებული პარტიის ერთ-ერთმა წევრმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მანქანით გადაადგილების დროს შემოესმა ტექნიკური გაუმართაობის ხმა, მანქანის შეჩერებისას კი, აღმოჩნდა, რომ საბურავის დამჭერი ჭანჭიკები იყო მოშვებული, რასაც უკავშირებს მის პოლიტიკურ საქმიანობას).

ზოგადად, 2021 წლის 28 სექტემბრის მდგომარეობით, შინაგან საქმეთა სამინისტროში არჩევნებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის 24 საქმეზეა დაწყებული გამოძიება. ამ პერიოდის წინა წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდთან შედარებით (76 საქმე) განსხვავება აშკარაა.

ზემოხსენებული სისხლის სამართლის 24 საქმიდან 8 შეეხება ნივთის დაზიანების (ძირითადად, ბანერების) ფაქტს: მმართველი პარტიის ორი ბანერია დაზიანებული, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ – ექვსი; სისხლის სამართლის 8 საქმე მიმდინარეობს ძალადობის ფაქტებზე: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წევრების მიმართ – ორი საქმე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიმართ – ოთხი, პარტიის „საქართველოსთვის“ წევრების მიმართ – ერთი და ოპოზიციურად განწყობილი პირის მიმართ – ერთი საქმე. სისხლის სამართლის 1 საქმეზე გამოძიება დაწყებულია ჟურნალისტის მიმართ განხორციელებულ შესაძლო ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობით ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე; სისხლის სამართლის 2 საქმე შეეხება ქურდობის ფაქტს (ორივე შემთხვევაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის გაქურდვა); 1 შემთხვევაში გამოძიება დაწყებულია სენაკის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის, ბატონი აპოლონ გარუჩავას, მიმართ მუქარის ფაქტზე; ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების საქმის (დმანისის ეპიზოდი) ფარგლებში დაკავებულია შესაბამისი პირი და ორი პირი ცნობილია დაზარალებულად. აღსანიშნავია, რომ 1 საქმეზე შეწყდა გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

არჩევნებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ისაუბრა გენერალური პროკურორის მოადგილემ, ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმაც. მან განაცხადა, რომ საქართველოს პროკურატურა არჩევნებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის 5 საქმეზე აწარმოებს გამოძიებას. 3 საქმე შეეხება შესაძლო მოსყიდვის ფაქტებს, მეოთხე კი, პოლიციელების მხრიდან ჩადენილ შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ 22 ფაქტს, რომელთა ფარგლებშიც ამ ეტაპისთვის 6 პირი დაიკითხა, თუმცა, აღნიშნული პირები კონკრეტულ დანაშაულის ნიშნებზე თავიანთ ჩვენებებში ვერ მიუთითებენ; მე-5 საქმე შეეხება სსკ 333-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს აკაკი

ბართაიასთვის („საქართველოსთვის“) იარაღის ჩადების ფაქტთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის 5 საქმეზე საგამოძიებო მოქმედებები აქტიურად გრძელდება.

ბატონმა გიგი ჩიხლაძემ („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“) მოითხოვა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილისა და გენერალური პროკურორის მოადგილის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება, რაზეც ბატონმა თორნიკემ განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის სტატისტიკა დანართად მიებმებოდა უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმს და ამგვარად ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა.

მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ინფორმაციასა და უწყებების მხრიდან მათზე განხორციელებული რეაგირებების განხილვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ ივანე გველესიანის ცემის ფაქტზე დაიწყო. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ივანე გველესიანის ცემის ფაქტთან დაკავშირებით 2021 წლის 20 სექტემბერს რუსთავის სამმართველოში დაიწყო გამოძიება სსკ 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 21 სექტემბერს რუსთავში მას უცნობმა პირებმა მიაყენეს დაზიანებები. გამოკითხვისას ივანე გველესიანმა აღნიშნა, რომ იგი მუშაობდა ა(ა)იპ „რუსთავის კორპუსის“ კოორდინატორის პოზიციაზე; 15 სექტემბერს პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა სამსახური და ხელმძღვანელობას განუმარტა, რომ სურდა, საარჩევნოდ დახმარებოდა გაერთიანებულ ოპოზიციას და ირმა მესხს. ამ თემასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობასთან არანაირი პრობლემა არ შექმნია და დღემდე კარგი ურთიერთობა აქვს. გველესიანის განმარტებით, საცხოვრებელი კორპუსის ეზოში სიგარეტის მოწევის დროს მასთან მისულმა უცნობმა პირმა მოულოდნელად მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. როგორც თავად განმარტავს, ეს ძალადობა შეიძლება უკავშირდებოდეს მის მეგობარ ირმა მესხს ან შესაძლოა, ვინმეში აერიათ. გველესიანი უარყოფს მასმედიით გავრცელებულ ინფორმაციას, რომ თითქოს მას სამსახურში ავალებდნენ უკანონო ქმედებებს, რის გამოც მოუხდა სამსახურის დატოვება, რაც, მისი განმარტებით, არ შეესაბამება სიმართლეს. სამსახურის ხელმძღვანელისა და თანამშრომლებისგან მას არასოდეს მიუღია უკანონო დავალება ან ბრძანება და ეს არ გამხდარა მისი სამსახურიდან წასვლის საფუძველი. საქმეზე გამოკითხული არიან ინფორმაციის მფლობელი მოწმეები და ტარდება ყველა საგამოძიებო მოქმედება. საქმის გამოძიება მიმდინარეობს აქტიურ რეჟიმში.

ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა გიგი უგულავას განცხადებასთან დაკავშირებით (მმართველი პარტიის მიერ საარჩევნო უბნებზე გოჭების დარიგებისა და ამ მხრივ ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვა) აღნიშნა, რომ მსგავსი ფაქტი არ დასტურდება.

ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა შემდეგი თემის ირგვლივ („ლელოს“ განცხადება ხელისუფლების მიერ საარჩევნო მიზნით პატიმრებისთვის გრძელვადიანი პაემნის

უფლების შესაძლო აღდგენის თაობაზე) საუბრისას აღნიშნა, რომ 27 სექტემბერს მსჯავრდებულთათვის ხანგრძლივი პაემნის უფლების აღდგენა დაკავშირებულია ეპიდემიური სიტუაციის გაუმჯობესებასა და პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე ვაქცინაციის მაღალ დინამიკასთან. კერძოდ, დღეის მდგომარეობით, მსჯავრდებულთა 80 პროცენტია ვაქცინირებული და, აქედან გამომდინარე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სააგენტოსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მიეცა ხანგრძლივი პაემნების აღდგენის შესაძლებლობა. საკითხი ადრეც მუსირებდა, უბრალოდ, სამინისტრო ელოდებოდა კონკრეტულ შედეგებს ვაქცინაციის მიმართულებით, აგრეთვე, ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუმჯობესების კუთხით და ყოველგვარი პოლიტიკური სპეკულაციები, რომ ეს ყველაფერი კავშირშია წინასაარჩევნო პროცესთან, აბსურდულია, თუნდაც, ერთი მარტივი მიზეზის გამო – ხანგრძლივი პაემნები აღდგენილია აბსოლუტურად ყველა მსჯავრდებულისათვის, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა, და ამით სარგებლობს ყველა ვაქცინირებული პირი. უნდა ითქვას, რომ კონკრეტული კრიტერიუმებია დადგენილი: მსჯავრდებული ორჯერადად უნდა იყოს აცრილი და, მეორე მხრივ, პაემანზე მოსული მისი ოჯახის წევრიც უნდა იყოს აცრილი (მან უნდა წარმოადგინოს PCR ტესტის უარყოფითი პასუხი). ბატონი თორნიკეს თქმით, ესაა მკაფიო კრიტერიუმები და აღსანიშნავია, რომ უკვე 15 ხანგრძლივი პაემანი შედგა, 20 კი ჩანიშნულია. კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ გარკვეული პერიოდის წინ „ლელოს" წევრები პირიქით აპელირებდნენ – რატომ არ იყო ხანგრძლივი პაემნები აღდგენილი და იმ ძველი განცხადებების ფონზე ეს ახალი პოზიცია ძალზედ უცნაურია.

იმ ინფორმაციაზე სასაუბროდ, რომელიც შეეხებოდა კახა კუკავას („თავისუფალი საქართველო") განცხადებას მისი პარტიის წევრის პოლიტიკური დევნის თაობაზე და რომ მას დამსაქმებელი კომპანია კანდიდატურის მოხსნას და პოლიტიკური პროცესებიდან დისტანცირებას სთხოვდა, ბატონმა თორნიკე სიტყვა გადასცა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს. ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა, რომ ამ ახალ ფაქტზე რეაგირება ჯერ არ განუხორციელებიათ. მისი თქმით, ინფორმაციაში აღნიშნულ პირს გაესაუბრებიან, გამოკითხავენ – რით გამოიხატა დევნა და შემდეგი სხდომისთვის წარმოადგენს დეტალურ ინფორმაციას.

ცესკო-ს წარმომადგენელმა მომდევნო თემაზე საუბრისას (ზუგდიდში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ლიდერების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებისა და წევრებისთვის არჩევნებთან დაკავშირებით მითითებების მიცემა) აღნიშნა, რომ ზემოხსენებულთან დაკავშირებით განცხადება გააკეთეს თვით საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა. ინფორმაციაში საუბარია ზუგდიდის

№72 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეზე, რომლის თქმითაც, მასთან სახლში მისულმა ოთხმა პირმა მიუთითა, რომ აღარ განეხორციელებინა უკანონო საქმიანობა კენჭისყრის პროცესისას (2020 წელს ადგილი ჰქონდა ე.წ. კარუსელებს). აღსანიშნავია, რომ გოჩა ელერჯია ბოლო სამი არჩევნებისას იკავებდა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პოზიციას და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებითაც კი არ ყოფილა მის მიმართ წარდგენილი არცერთი საჩივარი. ბატონი გიორგი სანტურიანის თქმით, მსგავსი ქმედებებით, გარკვეულწილად, ირიბი ზემოქმედება განხორციელდა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეზე. რაც შეეხება სხვა პირებს და, მათ შორის, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, მათ მიმართ მსგავსი ქმედებები არ დასტურდება.

მედიამინიტორინგის შემდეგ საკითხთან (ბათუმის მკვიდრის განცხადებით, დაეტბორა საცხოვრებელი და სამაშველო სამსახური დროულად არ გამოჩნდა. არჩევნებისთვის, როცა სჭირდებათ, დადიან და 100-100 ლარს არიგებენ ხმებისთვის, სტადიონზე შეკრებილთ ჩამოურიგეს ას-ასი ლარი, რაც მედიაში შეფასდა ამომრჩევლის მოსყიდვად) დაკავშირებით გენერალური პროკურორის მოადგილემ განაცხადა, რომ მისმა უწყებამ მოიკითხა საკითხი. ქალბატონმა ქსენია ქელეშმა („ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" საკრებულოს წევრ ნოდარ დუმბაძის (მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი) მამიდამ, აღნიშნა, რომ, ვინაიდან მისი სახლის დატბორვის პრობლემაზე რეაგირება დაგვიანდა შესაბამისი სამსახურის მიერ, გაბრაზებულმა ისაუბრა ხელისუფლების მიერ ხმების სანაცვლოდ 100-100 ლარის დარიგების თაობაზე. ბატონი გიორგის თქმით, მედიაში გავრცელებული ინფორმაცია ამომრჩევლის მოსყიდვასთან დაკავშირებით არ დადასტურდა.

მედიაში გავრცელებულ მომდევნო საკითხზე (ოპოზიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მმართველი პარტია ძალაუფლების შესანარჩუნებლად ზეწოლის სამიზნედ ამჯერად სოციალურად დაუცველებს გადასწვდა – ათობით სოციალურად დაუცველმა მოქალაქემ პარტიის ოფისიდან სატელეფონო ზარიც მიიღო არჩევნებზე მხარდაჭერისთვის, უარის შემთხვევაში კი, დახმარების შეწყვეტით ემუქრებიან) ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, ბატონმა ალექსანდრე ვაშალომიძემ, წინა სხდომის მსგავსად, კვლავ განაცხადა, რომ 2020 წლიდან, პანდემიის დაწყების პერიოდიდან, მთავრობის დადგენილებიდან გამომდინარე, თუ ჯანდაცვის სამინისტროს კონკრეტულმა მოქალაქემ არ მიმართა განცხადებით სოციალური დახმარების შეწყვეტის თაობაზე, მას სოციალური დახმარება ვერ შეუწყდება. შესაბამისად, მედიაში გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

მედიამონიტორინგის შემდეგ საკითხზე (ხელვაჩაურის მერის მოადგილე კახა ფუტკარაძემ ოპოზიციური პარტიის კანდიდატს მობილური ტელეფონი წაართვა. შემთხვევა ხელვაჩაურის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში 22 სექტემბერს მოხდა – გიორგი

ნაგერვაძეს („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელვაჩაურის საკრებულოს წევრობის კანდიდატი) ტელეფონი „ფეისბუქზე“ პირდაპირი ჩართვის დროს წაართვეს, როცა მოქალაქეების მერის მოადგილესთან შეხვედრას იღებდა. ვიდეოჩანაწერის მიხედვით, მერის მოადგილე შეხვედრის გადაღებით გაღიზიანდა) რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა, ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა, მუნიციპალიტეტიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ ხელვაჩაურის მერის მოადგილე კახა ფუტკარაძემ მოსახლეობასთან შეხვედრის დროს გიორგი ნაგერვაძეს მიმართა თხოვნით, მისთვის არ გადაეღო და მიეცა მოსახლეობასთან ნორმალურად გასაუბრების საშუალება. მიუხედავად თხოვნისა, ეს პირი კვლავ განაგრძობდა გადაღებას მიზანმიმართულად. ამის შემდეგ ბატონმა კახამ წაართვა მას ტელეფონი, რომელიც 10-15 წუთში უკანვე დაუბრუნა და ამით დასრულდა ზემოხსენებული ინციდენტი, რასაც გაგრძელება არ მოჰყოლია.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა ფოთში გიგი უგულავას საარჩევნო პლაკატების დაზიანებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურში დაწყებულია წარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე. მისი თქმით, ზედამხედველობის სამსახურმა ფაქტზე წასწრების შემთხვევაში უნდა გამოავლინოს სამართალდამრღვევი პირი, თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტზე წასწრება არ მომხდარა და, შესაბამისად, ამ დრომდე სამართალდამრღვევი პირი არ გამოვლენილა.

მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხზე (სოფელ ნაქალაქევში ასპინძის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერით სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომლის სამუშაოებს კომპანია „ნდს მშენებლობის“ მიერ დაქირავებული ქვეკონტრაქტორი შპს „მეგობრობა“ ასრულებს. სამუშაოების შემსრულებლებს სამუშაო საათებში მმართველი პარტიის სიმბოლოთი გამოსახული მაისურები აცვიათ. იურისტები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე საუბრობენ და 2000-ლარიანი ჯარიმის დაკისრებას ითხოვენ. მათი თქმით, ამ ქმედებით „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლი დაირღვა. სამუშაო საათებში მმართველი პარტიის მაისურებით და კეპებით შპს „მეგობრობის“ თანამშრომლები „სამხრეთის კარიბჭემ“ 21 და 23 სექტემბერს დააფიქსირა. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ გორის ოფისმა შესაძლო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტთან დაკავშირებით საჩივარი ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიაში შეიტანა) ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა განაცხადა, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიას არანაირი კავშირი არ აქვს შპს „მეგობრობის“ მიერ დაქირავებულ მუშახელთან. დანარჩენ დეტალებზე მუნიციპალიტეტი ინფორმაციას არ ფლობს. ბატონმა გიორგი სანტურიანმა დაადასტურა ამავე საკითხზე ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივრის წარდგენის ფაქტი და აღნიშნა, რომ საკითხი შესწავლის

პროცეშია და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

მომდევნო საკითხებზე (მცხეთის ერთ-ერთი საჯარო სკოლის და თბილისის 186-ე საჯარო სკოლის დირექტორების შესაძლო პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება) ისაუბრა ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე). მისი თქმით, საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლაში არის სამეურვეო საბჭო და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დანიშნულია სკოლის დირექტორი. ზემომითითებულ დირექტორებს ეტაპობრივად ეწურებათ ხელშეკრულების ვადა. შესაბამისად, დირექტორები შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით ინფორმირებულნი არიან. ამასთან, ქალბატონმა თამარმა განაცხადა, რომ ორივე ზემოხსენებულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების ვადის ამოწურვას და გავრცელებული ინფორმაცია პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებასთან დაკავშირებით სიმართლეს არ შეესაბამება.

ცაგერში პარტიის „საქართველოსთვის" მერობის კანდიდატ ბესო ბენდელიანის მანქანის დაცხრილვასა და ასპინძის მერის მოვალეობის შემსრულებელზე, საკრებულოს წევრობის კანდიდატ არკადი სოფოევზე, თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით ისაუბრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ. ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 25 სექტემბერს შს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება ბ.ბ-ს ავტომანქანის დაზიანებაზე (სსკ 187-ე მუხლი). მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. ამ ეტაპზე ბრალდებული პირი არ არის გამოვლენილი. რაც შეეხება არკადი სოფოევის საკითხს, ბატონი ალექსანდრეს თქმით, დაწყებულია გამოძიება სსკ 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოიკითხნენ შესაძლო თავდასხმაში მონაწილე პირები, რომლებიც კატეგორიულად უარყოფენ ძალადობის ფაქტს. ამასთან, დათვალიერების შედეგადაც დადგინდა, რომ ზემოხსენებულ პიროვნებას (ა.ს-ს) არ აქვს სხეულზე დაზიანებები (ძალადობის კვალი).

მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხთან დაკავშირებით („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატ ანი წითლიძის ინფორმაციით, ზუგდიდის 15 უბანში გადასატანი ყუთების სიაში 150-მდე ჯანმრთელი პირია ნაპოვნი. განცხადება ამის შესახებ წითლიძემ ზუგდიდის პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა. მისივე თქმით, სიაში ფიგურირებენ მმართველი პარტიის წევრები ან მერიის თანამშრომლის ოჯახის წევრები. წითლიძემ ჟურნალისტებს ვიდეომტკიცებულებაც წარუდგინა, სადაც, მისი ინფორმაციით, მერიის თანამშრომელ ნუკრი მარგველანის მშობლები არიან გადაღებული, რომლებიც ერთ-ერთი უბნის გადასატანი ყუთის სიაში მოხვდნენ, თუმცა, სრულიად ჯანმრთელები არიან. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ზუგდიდის ოფისმა 67-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში ამ საკითხზე 11 საჩივარი შეიტანა. საოლქოში მათი პარტიიდან კიდევ 30-მდე საჩივარია შესული უბნებზე დარღვევებთან დაკავშირებით)

ცესკო-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ნამდვილად არის წარმოდგენილი ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიაში შესაბამისი საჩივრები. მისი განმარტებით, ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირი თუ ვერ შეძლებს კენჭისყრის დღეს ხმის მისაცემად საარჩევნო უბანზე გამოცხადებას, საარჩევნო კანონმდებლობიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, მიმდინარე წლის 29 სექტემბრის 18:00 საათამდე მიმართოს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას გადასატან საარჩევნო ყუთის სიებში შეყვანის თაობაზე. საარჩევნო კომისიები საკითხის შესწავლისა და ყველა განცხადების გადამოწმების საფუძველზე ადგენენ გადასატანი ყუთის სიებში შესაყვან პირებს. ბატონი გიორგის თქმით, არის შემთხვევებიც, როდესაც პირები არ საჭიროებენ ამ სიაში შეყვანას. შესაბამისად, საარჩევნო კომისიებს გადამოწმების შედეგად ასეთი პირები არ შეჰყავთ სიაში.

მედიაში გავრცელებულ შემდეგ საკითხზე (წყარო შსს-დან „ტვ პირველთან" აცხადებს, რომ მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საგანგებო თათბირზე სამხარეოს მაღალჩინოსნებს დირექტივები მისცა. მინისტრის ბრძანებით, თითო პოლიციელს ექნება 20-კაციანი სია, რომელთაც ევალებათ სიაში მყოფ პირთა არჩევნებზე მიყვანა. მთავარი მოთხოვნაა, სიაში მყოფმა პირებმა „41" შემოხაზონ. წყაროს ცნობით, დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში გომელაური პოლიციელებს სამსახურიდან დათხოვნით დაემუქრა) ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა, რომ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. მისი განმარტებით, პოლიცია არის აპოლიტიკურ ორგანო, ამასთან, „ეთიკის კოდექსის" თანახმად, პოლიციელს ეკრძალება ნებისმიერ პოლიტიკურ პროცესებში ჩარევა, მით უფრო, აგიტაციაში, ხმების მობილიზებასა და ა.შ. მონაწილეობა. მან აღნიშნა, რომ არანაირ მტკიცებულებას არ ემყარება გავრცელებული ინფორმაცია და მიმართულია შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრედიტაციისკენ.

მედიაში გავრცელებულ მომდევნო ორ საკითხთან დაკავშირებით, სტამბულიდან საქართველოში დაბრუნებულ სანან ისმაილოვის მიმართ (დმანისის ოპოზიციონერი კანდიდატის მხარდამჭერი) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სატელეფონო ზარით განხორციელებული შესაძლო მუქარისა და, ასევე, პარტიის „საქართველოსთვის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატზე კანდიდატურის მოხსნასთან დაკავშირებით უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებული შესაძლო ზეწოლის ფაქტებზე ბატონმა ბექა ზეგარდელმა (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური) განაცხადა, რომ გავრცელებული ინფორმაციები კონკრეტიკას მოკლებულია და მტკიცებულებების გარეშე რეაგირება, ბუნებრივია, ვერ განხორციელდებოდა.

მომდევნო საკითხან დაკავშირებით (ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხში მცხოვრები ძმები ლერი და მირიან ქათამაძეები, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის კრიმინალურ პოლიციაში მუშაობდნენ, გვიან ღამით ბათუმის სამმართველოს უფროსმა ხვიჩა ქადაგიძემ დაიბარა და სამსახურიდან წასვლის შესახებ პატაკი დააწერინა,

ისე, რომ მათთვის მიზეზი არ განუმარტავთ. ძმების თქმით, სამსახურში კონსტანტინე ანანიაშვილის დროს დაინიშნეს, რომელიც ამჟამად პარტიას „საქართველოსთვის“ წარმოადგენს) ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა განაცხადა, რომ პროკურატურის მხრიდან მიმდინარეობს საკითხის შესწავლა. გამოკითხვაზე დაიბარეს ლ. და მ. ქ-ები. აქტიურად მიმდინარეობს გამოძიება და დამატებითი დეტალები ამ ეტაპზე ჯერ არ არის დადგენილი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა მომდევნო საკითხთან (თიანეთში სოფელ ახალსოფლის გამგეობაში დასაქმებულ ნინო გოჯიაშვილს პირველ აგვისტოს ამოეწურა დროებითი ხელშეკრულების ვადა, რომელიც აღარ გაუგრძელეს. ნინო გოჯიაშვილის ძმის, დავით გოჯიაშვილის, თქმით (პარტიის „საქართველოსთვის“ წევრი და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ახალსოფლიდან), თიანეთის მერობის კანდიდატ თამაზ მეჭიაურის წარმომადგენელმა მალხაზ სინჯარაძემ იგი გააფრთხილა, რომ მისი აქტიურობის გამო მის დას გაათავისუფლებდნენ. ნინო გოჯიაშვილი 6 წელი მუშაობდა თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის გამგეობაში სპეციალისტის თანამდებობაზე) დაკავშირებით აღნიშნა, რომ ზემოხსენებული პირი დასაქმებული იყო თიანეთის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში სპეციალისტად ვადიანი ადმინისტრაციული ხელშეკრულებით. ამასთან, დასახელებული პირი გათავისუფლდა ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო და გავრცელებულ ინფორმაციას პოლიტიკურ პროცესებთან კავშირი არ აქვს.

შემდეგ ინფორმაციასთან დაკავშირებით („სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED)) დამკვირვებლისათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, ჯგალი-მედანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მმართველი პარტიიდან და ამავდროულად რესურსცენტრის ხელმძღვანელი ლირა ღურწკაია სამსახურიდან გაშვებით დაემუქრა პედაგოგს, რომლის მეუღლეც იმავე სოფლების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, თუ ეს უკანასკნელი უარს არ იტყოდა კანდიდატობაზე. კანდიდატმა დამკვირვებელს ინფორმაცია დაუდასტურა, თუმცა, აღნიშნა, რომ მოლაპარაკების საფუძველზე ამ ეტაპზე მუქარა/ზეწოლა აღარ ხორციელდება და არ აპირებს კანდიდატურის მოხსნას) განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ შესაბამის რესურსცენტრში საკითხის მოკვლევისა და ინფორმაციაში ნახსენებ პედაგოგსა და ლირა ღურწკაიასთან გასაუბრების შემდეგ მითითებული ფაქტი არ დადასტურდა.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ წინა სხდომებზეც ისაუბრეს ხაშურის მერობის კანდიდატ ზვიად ტეფნაძესთან („საქართველოსთვის“) დაკავშირებულ საკითხებზე და მოისმინეს უწყებების მხრიდან ინფორმაციები. ამჯერად საკითხი ეხებოდა თავად ზვიად ტეფნაძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, სადაც ის საუბრობს მის

კუთვნილ კომპანიებში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესვლის თაობაზე (უწყება შპს „თეონასა“ და შპს „ბოკატელოს“ დოკუმენტაციით წელს უკვე მეორედ დაინტერესდა. ტეფნაძის თქმით, მან მუქარის შემცველი წერილები მიიღო. მას და მის ოჯახს ლიკვიდაციითა და ქონების განადგურებით ემუქრებიან, თუ კანდიდატურას არ მოხსნის. იგი აღნიშნულ ფაქტებს პოლიტიკურად მოტივირებულ დევნად აფასებს). ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ცოტნე ყავლაშვილმა, ინფორმაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მოიკითხა აღნიშნული საკითხი და ფაქტები არ დადასტურდა. შესამაბისად, გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ამავე საკითხზე ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს გამოძიება და ამ ეტაპზე სხვა დეტალები არ არის გამოკვეთილი.

ხელვაჩაურში სპორტსკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაკრულ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატ მიხეილ ბოლქვაძის სარეკლამო ბანერების მოპარვასთან დაკავშირებით ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა განაცხადა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ ამ ეტაპზე გამოვლენილი არ არის სამართალდამრღვევი პირი და გამოვლენის შემთხვევაში გამოიწერება შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

მედიაში გავრცელებულ მომდევნო ორ საკითხთან დაკავშირებით (1. სამოქალაქო აქტივისტ ზაზა მეხრიშვილის თქმით, ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარე და მმართველი პარტიის სიის მეორე ნომერი მიხეილ ჯანაშვილი ემუქრებიან „ფეისბუქში“ მისი აქტიურობის გამო, სადაც ის მართავს ანგარიშს სახელწოდებით – „ხაშური ჩემი ქალაქია“ და ჯანაშვილს კორუფციულ დანაშაულებში ამხელს. აქტივისტის თქმით, რამდენიმე თვის წინ მიხეილ ჯანაშვილი ფიზიკურად გაუსწორდა და ამასთან დაკავშირებით საქმეც აღიძრა; 2. ხაშურში მმართველი პარტიის აქტივისტი ქალბატონი საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს („საქართველოსთვის“) სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს) შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ორივე ზემოხსენებულ საქმეზე გამოძიება დაწყებულია და ამ ეტაპზე სხვა დეტალები არ იკვეთება.

მედიამონიტორინგის ბოლო საკითხზე (ისანში „ევროპული საქართველოს“ და გაერთიანებული ოპოზიციის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა საოლქო კომისიას საჩივრით მიმართეს მმართველი პარტიის კანდიდატის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და თბილისის მერიის მიერ ადგილობრივებისთვის მუნიციპალური ქონების საკუთრებაში გადაცემის გამო, რომლის ღონისძიებასაც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატიც ესწრებოდა. ოპოზიციის შეფასებით, ეს კანონდარღვევაა და ამომრჩევლის მოსყიდვას ნიშნავს) ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა განაცხადა, რომ ზემოხსენებულ საკითხზე პროკურატურისთვის არავის

მიუმართავს, ხოლო ცესკო-ს წარმომადგენელმა დაადასტურა ისნის საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივრის შესვლის ფაქტი. საჩივრით მოყვანილი არგუმენტაცია შეეხება ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტს, რის გამოც საარჩევნო სუბიექტს უნდა გაუუქმდეს რეგისტრაცია. ამასთან, საარჩევნო კანონმდებლობიდან გამომდინარე, საარჩევნო სუბიექტისთვის რეგისტრაციის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გზით და ამ შემთხვევაში, კომპეტენციიდან გამომდინარე, საარჩევნო ადმინისტრაციაში საკითხი განუხილველი დარჩება.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ლელა ხათრიძემ („სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" (ISFED)) და გიგი ჩიხლაძემ („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო") წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო სკოლების დირექტორების გათავისუფლებაზე საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირეს და აღნიშნეს, რომ საკითხი პრობლემურია და იწვევს საზოგადოებაში ეჭვებს ამ თემის პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებით. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ზემოხსენებულ პირების მოსაზრებებიდან გამომდინარე, განმარტა, რომ საგანმანათლებლო სისტემაში იგეგმება საჯარო სკოლის დირექტორების შერჩევის, დანიშვნისა და გათავისუფლების წესების ცვლილება და ამის შემდეგ უფრო მეტად დაიხვეწება აღნიშნული მექანიზმი. მან იმედი გამოთქვა, რომ ცვლილების შემდეგ საზოგადოებას ამ კუთხით ნაკლებად ექნება ეჭვი.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ არჩევნებამდე უწყებათაშორისი კომისიის ბოლო სხდომა გაიმართა; მან იმედი გამოთქვა, რომ 2 ოქტომბრის არჩევნები ჩატარდება მშვიდ და სამართლიან გარემოში და მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს სხდომაში მონაწილეობისთვის.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდნენ და თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა:

– „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი" - დანიელ დავითაშვილი;
– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია" – გრიგოლ გაგნიძე.

სხდომაზე გამართული დისკუსიის შედეგად კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაციები:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

რეკომენდაცია

(2021 წლის 29 სექტემბერი)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია,

აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას,

მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმად თვლის 2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის, 2016 წლის საპარლამენტო, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის, 2018 წლის საპრეზიდენტო და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს და

რეკომენდაციით მიმართავს

საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებს, საჯარო სკოლებისა და ბაგა-ბაღების თანამშრომლებს:

ა) რესურსცენტრების ხელმძღვანელებმა, საჯარო სკოლებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებების (ბაგა-ბაღების) თანამშრომლებმა სამუშაო საათების განმავლობაში ან როდესაც ისინი უშუალოდ ახორციელებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებებს, მონაწილეობა არ მიიღონ წინასაარჩევნო აგიტაციაში (მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა);

ბ) თავი შეიკავონ სასწავლო პროცესის პოლიტიზების თავიდან აცილების მიზნით პოლიტიკური აგიტაციისგან/კონტრაგიტაციისგან სოციალური ქსელების გამოყენებით მათი აღსაზრდელების/მოსწავლეების წინასაარჩევნო პროცესებში ჩართვისაგან, აგრეთვე, მაქსიმალურად გამიჯნონ საკუთარი პროფესიული საქმიანობა საარჩევნო პოლიტიკური პროცესებისგან.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

რეკომენდაცია

(2021 წლის 29 სექტემბერი)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია,

აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას,

მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმად თვლის 2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის, 2016 წლის საპარლამენტო, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის, 2018 წლის საპრეზიდენტო და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს და

რეკომენდაციით მიმართავს

1. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეებს:

ა) სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ახორციელებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებებს, არ მიიღონ მონაწილეობა წინასაარჩევნო აგიტაციაში;

ბ) თავი შეიკავონ ნებისმიერი საარჩევნო სუბიექტის წინააღმდეგ მიმართულ შეხვედრებში მონაწილეობისაგან, რათა გამოირიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება და კანდიდატებმა თავისუფალ და არაკონფლიქტურ გარემოში შეძლონ ამომრჩეველთან ურთიერთობა.

2. არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებს:

კანდიდატების მიერ თავისუფალ და არაკონფლიქტურ გარემოში ამომრჩეველთან ურთიერთობისა და ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად საარჩევნო სუბიექტებმა გასცენ მკაფიო მითითება, რომ მათმა მხარდამჭერებმა, განსაკუთრებით კი, საჯარო მოსამსახურეებმა, თავი შეიკავონ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის კანდიდატების

წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისაგან კონტრაგიტაციის, შეფასებების გაკეთებისა თუ სიტყვით გამოსვლის მიზნით, რათა გამოირიცხოს ინციდენტები, ძალადობრივი ექსცესები და პოლიტიკურ ნიადაგზე სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება.

სხდომა დასრულდა 17:05 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე: თორნიკე ჭეიშვილი

კომისიის მდივანი: